ხელშეკრულება
დაინტერესებული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობის შესახებ

„რეგისტრაციის" ღილაკზე ხელის დაჭერით, თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით და დაეთანხმეთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება).

ნებისმიერ დინტერესებულ საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ და საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირს, რომელსაც სურს განკარგოს ქონება, უფლება აქვს ვებგვერდზე www.eauction.ge (შემდგომში – ვებვერდი) განათავსოს ინფორმაცია შესაბამისი ქონების განკარგვის შესახებ, რისთვისაც უნდა გაეცნოს და დაეთანხმოს ხელშეკრულების პირობებს.

ვებგვერდის გამოყენებამდე, გთხოვთ, დეტალურად გაეცნოთ ხელშეკრულების პირობებს. რეგისტრაციის განხორციელების შემდეგ, თქვენ ავტომატურად მოექცევით ხელშეკრულების მოქმედების ფარგლებში, რაც ნიშნავს იმას, რომ განაცხადეთ თანხმობა თქვენ მიმართ ხელშეკრულების მოქმედების გავრცელებაზე.

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) და დაინტერესებული პირი (შემდგომში – პირი), რომელიც განკარგავს ქონებას ვებგვერდის მეშვეობით.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება, ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების (შესაბამისი ველების შევსების) შედეგად, შესაძლებლობას აძლევს პირს განკარგოს ქონება ელექტრონული აუქციონის/ინტერნეტმაღაზიის, ასევე აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციული ხასიათის განცხადების განთავსების მეშვეობით.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების გამოყენების მიზნებისთვის, განსაკარგავი ქონება უნდა იყოს პირის საკუთრება ან აღნიშნულ პირს უნდა გააჩნდეს ქონების განკარგვის კანონიერი უფლებამოსილება.

მუხლი 2. რეგისტრაციის პირობები

2.1. ქონების განკარგვის შესახებ ინფორმაციის განთავსებამდე, პირი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია ვებგვერდზე.

2.2. ვებგვერდზე რეგისტრაცია შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ პირს და იურიდიულ პირს.

2.3. ფიზიკური პირის რეგისტრაციის ეტაპები:

2.3.1. პირი, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად არის ქმედუნარიანი, შესაბამის სარეგისტრაციო ელექტრონულ ფორმაში ავსებს შემდეგ ველებს: „პირადი ნომერი", „გვარი", „სახელი", „დაბადების თარიღი", „ფაქტობრივი

მისამართი“, „მობილური ტელეფონის ნომერი“, „ელექტრონული ფოსტის მისამართი“, „მომხმარებლის სახელი“ და „პაროლი“, რის შემდეგაც ფიზიკური პირი ეცნობა წინამდებარე ხელშეკრულებას და ეთანხმება მას ელექტრონულად;

2.3.2. ფიზიკური პირი, ვებგვერდზე შეტყობინების სახით მიღებული ინსტრუქციის მიხედვით, ხსნის შესაბამის ვებგვერდის ბმულს და ავსებს მომხმარებლის აქტივაციისათვის საჭირო ველებს. საქართველოს მოქალაქის თანხმობის საფუძველზე, მის მიერ მითითებული პირადი მონაცემების იდენტიფიცირების მიზნით, ხორციელდება მათი გადამოწმება სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში. ინფორმაციის ვალიდურობის შემთხვევაში, მომხმარებელი ხდება აქტიური სისტემაში.

2.4. იურიდიული პირის რეგისტრაციის ეტაპები:

2.4.1. იურიდიული პირი შესაბამის სარეგისტრაციო ელექტრონულ ფორმაში უთითებს საიდენტიფიკაციო ნომერს, რის შემდეგაც სისტემის მიერ ავტომატურად ხდება სახელმწიფო რეგისტრაციის მონაცემთა ბაზასთან ინფორმაციის გადამოწმება. მონაცემების უტყუარობის შემთხვევაში, ხდება „სამართლებრივი ფორმის“, „დასახელების“ და „იურიდიული მისამართის“ ველების ავტომატური შევსება. იურიდიული პირის მიერ ივსება სარეგისტრაციო ელექტრონული ფორმის დარჩენილი ველები: „მომხმარებლის სახელი“, „პაროლი“, „უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, პირადი ნომერი“, „ელექტრონული ფოსტის მისამართი“, „მობილური ტელეფონის ნომერი“ და „საბანკო რეკვიზიტები“, რის შემდეგაც პირი ეცნობა წინამდებარე ხელშეკრულებას და ეთანხმება მას ელექტრონულად;

2.4.2. იურიდიული პირი, ვებგვერდზე შეტყობინების სახით მიღებული ინსტრუქციის მიხედვით, ხსნის შესაბამის ვებგვერდის ბმულს და ავსებს მომხმარებლის აქტივაციისათვის საჭირო ველებს. ინფორმაციის ვალიდურობის შემთხვევაში, მომხმარებელი ხდება აქტიური სისტემაში.

მუხლი 3. ავტორიზაცია

ვებგვერდზე დარეგისტრირებული მომხმარებლებისათვის ავტორიზაცია შესაძლებელია შესაბამის ფორმაში მომხმარებლის სახელის, პაროლის და უსაფრთხოების ერთჯერადი კოდის შეყვანის გზით, რომელიც იგზავნება მომხმარებლის მიერ ვებგვერდზე მის პირად მონაცემებში მითითებულ მობილური ტელეფონის ნომერსა და ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

მუხლი 4. პირის მიერ ქონების განკარგვა

4.1. ვებგვერდზე ავტორიზაციის შემდგომ, პირის მიერ ქონების განკარგვის ხელშეწყობა ხორციელდება შემდეგი ფორმებით:

4.1.1. ელექტრონული აუქციონის ფორმით;

4.1.2. ინტერნეტმაღაზიის ფორმით;

4.1.3. ვებგვერდზე აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციული ხასიათის განცხადების განთავსებით;

4.1.4. ქონების ელექტრონული აუქციონის მეშვეობით რეალიზაცია შესაძლებლობით - „იყიდე ახლავე“ (ე.წ. „Buy It Now“).

4.2. ქონების განკარგვაში იგულისხმება ქონების რეალიზაცია/პრივატიზება, სარგებლობის/მართვის უფლებით გაცემა.

4.3. პირი თავად ახორციელებს განსაკარგავი ქონების თაობაზე ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებას, შესაბამისი ველების შევსების გზით. თავდაპირველად მან უნდა მონიშნოს ქონების განკარგვის ფორმა – ელექტრონული აუქციონი/ინტერნეტმაღაზია/აუქციონის თაობაზე ინფორმაციის განთავსება/ელექტრონული აუქციონი შესაძლებლობით - „იყიდე ახლავე“ (ე.წ. „Buy It Now“), ასევე ქონების კატეგორია/ქვეკატეგორია.

4.4. შესაბამისი ველების შევსების შემდეგ, პირი ვებგვერდზე ტვირთავს განსაკარგავ ქონებასთან დაკავშირებულ ფოტოსურათებს, რომელიც არ უნდა შეიცავდეს შეურაცხმყოფელ გამოსახულებას, სარეკლამო ხასიათის ინფორმაციას, პოლიტიკურ თუ რელიგიურ მოწოდებებს.

4.5. პირის მიერ ქონების განკარგვის შესახებ შევსებული განაცხადი იგზავნება ვებგვერდის ადმინისტრატორთან, რომლის მიერ შესაბამისი დადასტურების შემდეგ ხორციელდება განაცხადის ვებგვერდზე გამოქვეყნება. პირი ერთპიროვნულად არის პასუხისმგებელი მის მიერ განთავსებული ინფორმაციის უტყუარობაზე.

4.6. ურთიერთობა პირსა და ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულს/მონაწილეს შორის რეგულირდება სააგენტოსგან დამოუკიდებლად.

4.7. ამ მუხლის 4.1.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში, პირი ვებგვერდზე ქონების განკარგვის შესახებ ინფორმაციის განთავსების დროს თავად უთითებს „იყიდე ახლავე“-ს (ე.წ. „Buy It Now“) შესაძლებლობით ქონების სარეალიზაციო ღირებულებას, რომლის ოდენობა უნდა აღემატებოდეს ელექტრონულ აუქციონზე შეთავაზებული საწყისი სარეალიზაციო ფასისა და ბიჯის ჯამურ ოდენობას. ელექტრონული აუქციონის მიმდინარეობისას, შესაბამის პერიოდში ქონების შეძენით დაინტერესებულ მომხმარებელს ეძლევა საშუალება, ქონების შესაძენად დადგენილი ბეს თანხის გადახდის/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენის შემდეგ, შეიძინოს ქონება დაუყოვნებლივ, „იყიდე ახლავე“-ს (ე.წ. „Buy It Now“) შესაძლებლობით ქონების რეალიზაციისათვის დადგენილ ფასად და შესაბამისად არ დაელოდოს ელექტრონული აუქციონის დასრულებას.

4.8. „იყიდე ახლავე“-ს (ე.წ. “Buy It Now“) შესაძლებლობით ქონების შეძენა იზღუდება, თუ:

4.8.1. ელექტრონულ აუქციონზე ვაჭრობის მიმდინარეობისას დაფიქსირებული ფასი გადააჭარბებს „იყიდე ახლავე“-ს (ე.წ. „Buy It Now“) შესაძლებლობით ქონების შეძენისათვის დაწესებულ თანხას;

4.8.2. ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე დარჩა 1 (ერთი) საათი ან 1 (ერთი) საათზე ნაკლები.

მუხლი 5. მომსახურების საფასურის გადახდა

5.1. სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურების საფასური განისაზღვრება „დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის წესის, მომსახურების სახეებისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 07 სექტემბრის №561 დადგენილებით (დანართი).

5.2. პირი მომსახურების საფასურს იხდის ვებგვერდის www.eauction.ge ერთიანი ანგარიშსწორების სისტემის მეშვეობით.

5.3. მომსახურების საფასური გადაიხდევინება წინასწარ, გარდა ამ მუხლის 5.4 და 5.5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ორგანიზაციებს, სააგენტოსთან შეთანხმებით, უფლება აქვთ წლიური მომსახურების გაწევის შემთხვევებში, მომსახურების საფასური გადაიხადონ მომსახურების პროცედურების დასრულების შემდეგ, თვეში ერთხელ, ყოველი თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა.

5.5. კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის ელექტრონული აუქციონის ჩატარების შემთხვევაში, მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების „დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის წესის, მომსახურების სახეებისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 07 სექტემბრის №561 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის მე-3 გრაფით გათვალისწინებული 1% გადაიხდება ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, ელექტრონული აუქციონის პროცედურების დასრულებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა.

5.6. ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.7. მომსახურების საფასური მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს და ირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

მუხლი 6. გადახდილი მომსახურების საფასურის დაბრუნების წესი

6.1. თუ მომსახურების საფასური გადახდილია დადგენილ საფასურის განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს დაუბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და დადგენილ საფასურის განაკვეთს შორის. საფასურის გადამხდელის მოთხოვნით, სააგენტო უფლებამოსილია ზედმეტად ან წინასწარ გადახდილი თანხა ჩათვალოს სხვა მომსახურების ანგარიშში.

6.2. გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება, თუ:

6.2.1. სააგენტო, სათანადო საფუძვლის არსებობისას, უარს აცხადებს მომსახურების განხორციელების თაობაზე;

6.2.2. დაინტერესებული პირი სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის დაწყებამდე წერილობით განაცხადებს უარს მომსახურების მიღების თაობაზე;

6.2.3. სააგენტომ მომსახურება არ განახორციელა დადგენილ ვადაში.

6.3. ამ მუხლის 6.2.1 და 6.2.3 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სააგენტო აცნობებს დაინტერესებულ პირს მომსახურების განხორციელების შეუძლებლობის შესახებ და სრულად უბრუნებს გადახდილ მომსახურების საფასურს.

6.4. ამ მუხლის 6.2.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადახდილი მომსახურების საფასურის სრულად დაბრუნება ხორციელდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე. განცხადება წარმოდგენილ უნდა იქნეს მომსახურების საფასურის გადახდიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება.

6.5. ამ მუხლის 6.3 და 6.4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დაინტერესებული პირისათვის მის მიერ გადახდილი მომსახურების საფასურის დაბრუნება ხდება 10 (ათი) კალენდარულ დღეში.

მუხლი 7. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

7.1. სააგენტო უფლებამოსილია:

7.1.1. შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, ვებგვერდზე ქონების განკარგვის შესახებ ინფორმაციის განთავსების წესი ან სხვა პირობები ნებისმიერ დროს. ამ ცვლილებას/ ცვლილებებს ძალა ექნება მას შემდეგ, რაც ისინი განთავსდება ვებგვერდზე;

7.1.2. შეწყვიტოს ნებისმიერი მომსახურება ტექნიკური პრობლემის, რაიმე შეცდომის, უზუსტობის, პირის მხრიდან უკანონო მოქმედებების განხორციელების ან სხვა მიზეზ(ებ)ის გამო, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ვებგვერდს ან თვითონ სააგენტოს;

7.1.3. შეაჩეროს ან შეწყვიტოს პირის ვებგვერდზე ავტორიზაცია, თუ ჩათვლის, რომ ის არასწორად მოქმედებს;

7.1.4. გააკონტროლოს ყველა მოქმედება პირის მხრიდან და რაიმე დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღოს შესაბამისი ზომები;

7.1.5. ვებგვერდზე ქონების განკარგვის შესახებ განთავსებულ განაცხადში შეიტანოს გრამატიკული შესწორებები, რომელმაც არ უნდა გამოიწვიოს განაცხადის ტექსტის შინაარსის ცვლილება.

7.2. სააგენტო ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

7.3. პირი უფლებამოსილია:

7.3.1. ვებგვერდზე განათავსოს ინფორმაცია ქონების განკარგვის შესახებ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით;

7.3.2. ნებისმიერ დროს განაახლოს ვებგვერდზე რეგისტრაციისას მითითებული თავისი პირადი მონაცემები, გარდა მომხმარებლის სახელისა.

7.4. პირი ვალდებულია:

7.4.1. გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საფასური;

7.4.2. ვებგვერდზე განათავსოს სრულყოფილი ინფორმაცია განსაკარგავი ქონების თაობაზე;

7.4.3. არ შეიყვანოს შეცდომაში დაინტერესებული პირი მცდარი ან არასწორი ინფორმაციის გამოქვეყნების გზით;

7.4.4. არ განათავსოს რაიმე სახის შეურაცხმყოფელი ინფორმაცია ან ისეთი სახის ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ვებგვერდის პრესტიჟზე;

7.4.5. არ განათავსოს ინფორმაცია, რომელშიც იქნება რაიმე სახის მუქარა ან ცილისწამება, კომერციული საიდუმლო ან რომელიც იქნება ღირსებისა და რეპუტაციის შემლახველი, ასევე ინფორმაცია, რომელიც შეიძლება საზიანო იყოს საზოგადოებისთვის;

7.4.6. არ განათავსოს სარეკლამო სახის ინფორმაცია ან ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ვებგვერდს;

7.4.7. არ გაავრცელოს ნებისმიერი არაოფიციალური ინფორმაცია, კომპიუტერული ვირუსი, სპამი;

7.4.8. არ დაარღვიოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და ამ ხელშეკრულების პირობები;

7.4.9. არ გადასცეს ვებგვერდზე რეგისტრირებული მომხმარებლის სახელი და პაროლი სხვა პირს;

7.4.10. თუ საქართველოს კანონმდებლობით იკრძალება რაიმე სახის ქონების განკარგვა, ვებგვერდზე არ განათავსოს ინფორმცია მსგავსი სახის ქონების განკარგვის შესახებ;

7.4.11. თუ ქონების განკარგვისთვის საჭიროა რაიმე სახის ნებართვის/ლიცენზიის აღება, უზრუნველყოს აღნიშნული ნებართვის/ლიცენზიის მოძიება. თუ პირი განკარგავს ასეთი სახის ქონებას, სააგენტო უფლებამოსილია ჩათვალოს, რომ მას აქვს შესაბამისი ნებართვა/ლიცენზია.

7.5. პირს ეკრძალება ელექტრონული აუქციონის პერიოდში რაიმე სახით ფასების ხელოვნურად გაზრდა.

7.6. სააგენტო იტოვებს უფლებას, პირის მხრიდან მნიშვნელოვანი დარღვევ(ებ)ის შემთხვევაში, გააუქმოს პირის მიერ ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია და/ან შეზღუდოს მისი ავტორიზაცია ვებგვერდზე.

მუხლი 8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. ხელშეკრულების მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება სააგენტოს ან პირის კონტროლის ფარგლებს და შესაბამის მხარეს არ შეეძლო მისი წინასწარ განჭვრეტა, თავიდან აცილება და რომლის დადგომაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის. ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორული გარემოება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი) ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მოვლენით.

8.2. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში მხარეების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

8.3. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

8.4. ფორს-მაჟორული გარემოებების 3 (სამი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, მხარეები უფლებამოსილნი არიან განიხილონ ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხი.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. პირი პასუხისმგებელია მის მიერ ვებგვერდზე განთავსებულ ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე.

9.2. სააგენტო პასუხს არ აგებს განსაკარგავი ქონების კანონიერებასა ან/და მისი განკარგვის მართლზომიერებაზე.

9.3. სააგენტო არ მონაწილეობს პირსა და ქონების შემძენს/სარგებლობაში/მართვის უფლებით მიმღებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებში.

9.4. სააგენტო არ აგებს პასუხს ვებგვერდის ფუნქციონირების დროებით შეწყვეტის ან შეფერხების გამო, თუმცა იღებს ყველანაირ ზომას ასეთი შეფერხებების თავიდან ასაცილებლად.

9.5. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში, მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. კონფიდენციალურობა

10.1. პირი პასუხს აგებს ვებგვერდზე მისი სახელით და არჩეული პაროლით განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე.

10.2. პირი ვალდებულია არ გაამჟღავნოს ინფორმაცია თავისი პაროლის შესახებ. თუ სხვადასხვა მიზეზის გამო პაროლი ცნობილი გახდება სხვა პირისთვის, პირმა ის უნდა შეცვალოს.

მუხლი 11. კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებზე მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობა.

11.2. ნებისმიერი უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მხარეთა შორის, უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ საქართელოს საერთო სასამართლოებს.

მუხლი 12. შეტყობინებები

სააგენტოს მხრიდან პირისათვის ნებისმიერი ინფორმაციის მიწოდება ხორციელდება ვებგვერდზე მის პირად მონაცემებში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე, მობილური ტელეფონის ნომერზე ან ფაქტობრივ მისამართზე შეტყობინების გაგზავნის სახით, რაც ჩაითვლება ოფიციალურ შეტყობინებად.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №561

2020 წლის 7 სექტემბერი

ქ. თბილისი

დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის წესის, მომსახურების სახეებისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კ[1]ანონის პირველი მუხლის 6 პუნქტისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული:

1. „დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის წესი“ (დანართი №1).

2. „დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურების სახეები და საფასურის ოდენობა“ (დანართი №2).

მუხლი 2

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის წესის, მომსახურების სახეებისა და საფასურის ოდენობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 12 აპრილის №141 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 8 სექტემბრიდან.

პრემიერ - მინისტრი გიორგი გახარია

დანართი №1

დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

„დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის წესი“ (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) მიერ დაინტერესებული

ფიზიკური და იურიდიული პირების (შემდგომში – დაინტერესებული პირი) ქონების განკარგვის ხელშეწყობისას მომსახურების გაწევის ძირითად პრინციპებს.

მუხლი 2. დაინტერესებული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობა

1. დაინტერესებული პირი, ქონების განკარგვის ხელშეწყობის მიზნით სააგენტოს მომსახურებით სარგებლობის სურვილის შემთხვევაში, ელექტრონული ან მატერიალური განაცხადით მიმართავს სააგენტოს. ელექტრონული განაცხადის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი სააგენტოს მიმართავს ვებგვერდის – www.eauction.ge-ის საშუალებით.

2. დაინტერესებული პირი უფლებამოსილია, თავად განათავსოს განცხადება ქონების განკარგვის შესახებ ვებგვერდზე – www.eauction.ge.

3. სააგენტო, დაინტერესებული პირის ელექტრონული/მატერიალური განაცხადის ან განთავსებული განცხადების პირობების შესაბამისად, უზრუნველყოფს ქონების განკარგვის პროცედურების განხორციელებას.

მუხლი 3. მომსახურების ფორმები

დაინტერესებული პირის ქონების განკარგვის ხელშეწყობა ხორციელდება შემდეგი ფორმებით:

ა) აუქციონის (ელექტრონული აუქციონი, საჯარო აუქციონი) ფორმით;

ბ) ინტერნეტმაღაზიის ფორმით;

გ) ვებგვერდზე – www.eauction.ge აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაციული ხასიათის განცხადების განთავსებით;

დ) ქონების ელექტრონული აუქციონის მეშვეობით რეალიზაცია შესაძლებლობით – „იყიდე ახლავე“ (ე.წ. „Buy It Now“).

მუხლი 4. მომსახურების საფასურის გადახდა

1. სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურების საფასურის გადახდა მოხდება წინასწარ, გარდა ამ მუხლის მე-2, მე-3, მე-8 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში (გარდა ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების ამ წესის №2 დანართის მე-3 გრაფით გათვალისწინებული პროცენტი გადაიხდება ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, ელექტრონული აუქციონის პროცედურების დასრულებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

3. კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის საჯარო აუქციონის ჩატარების შემთხვევაში, მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების №2 დანართის მე-6 გრაფით გათვალისწინებული პროცენტი გადაიხდება საჯარო აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, აუქციონის დასრულების დღიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

4. ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. მომსახურების საფასური მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს და ირიცხება სააგენტოს ანგარიშზე.

6. მომსახურების საფასურის გადახდისაგან თავისუფლდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

7. საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის ამ დადგენილების №2 დანართის პირველი, მე-4, მე-7 და მე-8 გრაფებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის ოდენობები მცირდება 50%-ით.

8. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ორგანიზაციებს, სააგენტოსთან შეთანხმებით, უფლება აქვთ, წლიური მომსახურების გაწევის შემთხვევებში, მომსახურების საფასური გადაიხადონ მომსახურების პროცედურების დასრულების შემდეგ, თვეში ერთხელ, ყოველი თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღისა.

9. საწარმო, რომელსაც საქართველოს მთავრობის დადგენილებით მინიჭებული აქვს „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნავთობის ეროვნული კომპანიის სტატუსი, საქართველოში მოპოვებული ნავთობისა და გაზის განკარგვის/რეალიზების შემთხვევაში, როდესაც აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილი ნავთობისა და გაზის შესაბამისი მოცულობების მყიდველებისათვის ფაქტობრივი მიწოდება ხორციელდება ეტაპობრივად, მომსახურების საფასურს – მიწოდებული ქონების ღირებულების 1%-ის ოდენობით იხდის ეტაპობრივად, ნავთობისა და გაზის შესაბამისი მოცულობების მყიდველებისათვის ფაქტობრივად მიწოდებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

საქართველოს მთავრობის 2026 წლის 16 ოქტომბრის დადგენილება №495 - ვებგვერდი, 19.10.2026წ.

მუხლი 5. გადახდილი მომსახურების საფასურის დაბრუნების წესი

1. თუ მომსახურების საფასური გადახდილია დადგენილ საფასურის განაკვეთზე მეტი ოდენობით, საფასურის გადამხდელს დაუბრუნდება სხვაობა მის მიერ გადახდილ თანხასა და დადგენილ საფასურის განაკვეთს შორის. საფასურის გადამხდელის მოთხოვნით სააგენტო უფლებამოსილია, ზედმეტად ან წინასწარ გადახდილი თანხა ჩათვალოს სხვა მომსახურების ანგარიშში.

2. გადახდილი საფასური სრულად ბრუნდება, თუ:

ა) სააგენტო, სათანადო საფუძვლის არსებობისას, უარს აცხადებს მომსახურების განხორციელების თაობაზე;

ბ) დაინტერესებული პირი სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის დაწყებამდე წერილობით განაცხადებს უარს მომსახურების მიღების თაობაზე;

გ) სააგენტომ მომსახურება არ განახორციელა დადგენილ ვადაში.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სააგენტო აცნობებს დაინტერესებულ პირს მომსახურების განხორციელების შეუძლებლობის შესახებ და სრულად უბრუნებს გადახდილ მომსახურების საფასურს.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გადახდილი მომსახურების საფასურის სრულად დაბრუნება ხორციელდება დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე. განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს მომსახურების საფასურის გადახდიდან 60 კალენდარულ დღეში. ამ ვადის გასვლის შემდეგ გადახდილი საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დაინტერესებული პირისათვის მის მიერ გადახდილი მომსახურების საფასურის დაბრუნება ხდება 10 კალენდარულ დღეში.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის დადგენილება №31 – ვებგვერდი, 27.01.2022წ.

დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების განკარგვის ხელშეწყობისას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ გასაწევი მომსახურების სახეები და საფასურის ოდენობა

№	მომსახურების სახე	ერთჯერადი მომსახურების საფასური (ერთი ლოტი – არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ხანგრძლივობით)	მრავალჯერადი მომსახურების საფასური (არაუმეტეს ერთი თვის განმავლობაში)	წლიური მომსახურების საფასური
1	ფიზიკური პირისათვის ელექტრონული აუქციონის ჩატარება	3 ლარი	60 ლარი	600 ლარი
2	ადმინისტრაციული ორგანოსათვის (გარდა ამ დანართის მე-10 – მე-12 და მე-15 გრაფებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოებისა), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისათვის, პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისათვის ელექტრონული აუქციონის ჩატარება	50 ლარი	250 ლარი	3 000 ლარი
3	კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის (გარდა ამ დანართის მე-2 და მე-13 გრაფებით გათვალისწინებული კერძო სამართლის იურიდიული პირებისა), ელექტრონული აუქციონის ჩატარება	100 ლარი; ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/ სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების 1%	200 ლარი; ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/ სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების 1%	2 400 ლარი; ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/ სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების 1%
4	ფიზიკური პირისათვის აუქციონის შესახებ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება	3 ლარი	50 ლარი	500 ლარი
5	იურიდიული პირისათვის აუქციონის შესახებ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება (გარდა ამ დანართის მე-14 გრაფით გათვალისწინებული იურიდიული პირისა)	20 ლარი	120 ლარი	1 200 ლარი
	იურიდიული პირისათვის საჯარო აუქციონის შესახებ ვებგვერდზე	150 ლარი; საჯარო აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, კერძო	450 ლარი (არაუმეტეს 10 აუქციონისა); საჯარო აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში,	1 500 ლარი (არაუმეტეს 120 აუქციონისა); საჯარო აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, კერძო

6	ინფორმაციის განთავსება და საჯარო აუქციონის ჩატარება ან საჯარო აუქციონის ჩატარება	სამართლის იურიდიული პირისთვის ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/ სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების 1%	კერძო სამართლის იურიდიული პირისთვის ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/ სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების 1%	სამართლის იურიდიული პირისთვის ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო/ სარგებლობის უფლებით გადასაცემი ღირებულების 1%
7	ფიზიკური პირისათვის საჯარო აუქციონის შესახებ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება და საჯარო აუქციონის ჩატარება	100 ლარი	300 ლარი (არაუმეტეს 10 აუქციონისა)	1 200 ლარი (არაუმეტეს 120 აუქციონისა)
8	ფიზიკური პირისათვის ინტერნეტმაღაზიაში ქონების განთავსება	3 ლარი	20 ლარი	200 ლარი
9	იურიდიული პირისათვის ინტერნეტმაღაზიაში ქონების განთავსება	20 ლარი	170 ლარი	2 000 ლარი
10	საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის ელექტრონული აუქციონის ჩატარება; ინტერნეტმაღაზიაში ქონების განთავსება	50 ლარი	5 834 ლარი	70 000 ლარი
11	საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის ელექტრონული აუქციონის ჩატარება (1 ნოტარიუსი)	10 ლარი	20 ლარი	240 ლარი
12	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის ელექტრონული აუქციონის ჩატარება	50 ლარი	2 500 ლარი	30 000 ლარი
13	შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიისათვის“ (ს/ნ: 405007200) ელექტრონული აუქციონის ჩატარება	50 ლარი	417 ლარი	5 000 ლარი
14	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – ქონების მართვის სააგენტოსთვის აუქციონის შესახებ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსება	50 ლარი	250 ლარი	3 000 ლარი
15	საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოსთვის ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ლიცენზიების გაცემის მიზნით, ელექტრონული აუქციონის ჩატარება	50 ლარი	5 834 ლარი	70 000 ლარი

16	ფიზიკური პირისათვის ქონების ელექტრონული აუქციონის მეშვეობით რეალიზაცია, შესაძლებლობით – „იყიდე ახლავე“ (ე.წ. „Buy It Now“)	3 ლარი	60 ლარი	600 ლარი
17	კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის ქონების ელექტრონული აუქციონის მეშვეობით რეალიზაცია, შესაძლებლობით – „იყიდე ახლავე“ (ე.წ. „Buy It Now“)	100 ლარი; გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო ღირებულების 1%	200 ლარი; გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო ღირებულების 1%	2 400 ლარი; გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში. ემატება მთელი ქონების საბოლოო სარეალიზაციო ღირებულების 1%.